

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



მარტი
2024



ელექტოენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორი:

ერეკლე შუბითიძე
უფროსი მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2024 წლის მარტში ელექტროენერჯის გამომუშავება 11%-ით გაიზარდა როგორც წლიურ, ისე თვიურ შრილში.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 1.4%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 3%-ით.
- მოხმარებამ გამომუშავებას 52 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2024 წლის მარტისთვის სრული წარმოების 5% და მოხმარების 4%-ია.
- მარტში განხორციელდა 105.5 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- მარტში განხორციელდა 7.66 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საიმპორტო პარტნიორი რუსეთი იყო.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი სომხეთი იყო.
- იმპორტის ფასი 0.19 ცენტი, ან 0.50 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- ექსპორტის ფასი 5.76 ცენტი, ან 15.46 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2024 წლის მარტში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი კონცენტრირებული და მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვრებს შორის იყო და ინდექსის მნიშვნელობა 1,934-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2024 წლის მარტში ინდექსის მნიშვნელობამ 2,212 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


1. წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2024 წლის მარტში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,130 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 11%-იან ზრდას წარმოადგენს (2023 წლის მარტში სრული წარმოება 1,019 მლნ კვტსთ იყო). წარმოების წლიური ზრდა თესების (+90%) და ქარის (+20) სადგურების გამომუშავების ზრდამ განაპირობა, მაშინ როცა ჰესების (-10%) გამომუშავება შემცირდა.

თვიურ ჭრილში წარმოება 11%-ით გაიზარდა (2024 წლის თებერვალში სრული წარმოება 1,022 მლნ კვტსთ-ს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე ზრდა თბო სადგურების (+16%), ქარის (+47%) და ჰესების (+8%) გამომუშავების ზრდამ გამოიწვია.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,182 მლნ კვტსთ შეადგინა (6%-ით მეტი 2023 წლის მარტთან შედარებით და 3%-ით მეტი 2024 წლის თებერვალთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2024 წლის მარტში ენერჯის მოხმარებამ წარმოებას 52 მლნ კვტსთ-ით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 5%-სა და სრული მოხმარების 4%-ს შეადგენდა (2023 წლის მარტში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 97 მლნ კვტსთ-იანი დეფიციტი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების 10%-ს და სრული მოხმარების დაახლოებით 9%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰესებზე მოდის. 2024 წლის მარტში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 727 მლნ კვტსთ-ს გაუტოლდა (სრული წარმოების 64.3%), თესების წარმოება – 395 მლნ კვტსთ-ს (სრული წარმოების 35%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება – 8 მლნ კვტსთ-ს (სრული წარმოების 0.7%) (დიაგრამა 2).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰესებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 40.1% გამოიმუშავა (291 მლნ კვტსთ), ხოლო სეზონურმა ჰესებმა – 49.3% (358 მლნ კვტსთ), მცირე სიმძლავრის ჰესებმა კი – 10.6% (77 მლნ კვტსთ) (დიაგრამა 3).


დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

თესებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა 160 მლნ კვტსთ (თესების 40.4% და ჯამური გამომუშავების 14.1%) გამოიმუშავა, გარდაბანი 2-მა – 164 მლნ კვტსთ (თესების 41.4% და ჯამური გამომუშავების 14.5%), მტკვარი თესმა – 38 მლნ კვტსთ (თესების 9.6% და ჯამური გამომუშავების 3.4%), ხოლო თბილსრესმა – 34 მლნ კვტსთ (თესების 8.6% და ჯამური გამომუშავების 3%) (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰესებიდან წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 36 მლნ კვტსთ ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 12.5% და სრული წარმოების 3.2%). ენგურჰესმა 110 მლნ კვტსთ გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯის 38%-ს და სრული წარმოების 9.8%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2023 წლის მარტთან შედარებით 11%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ – 32.6% (386 მლნ კვტსთ), აფხაზეთი – 22.1%(261 მლნ კვტსთ), თელასი/თელმიკო² – 24.5% (290 მლნ კვტსთ) და პირდაპირი მომხმარებლები – 20.6% (233 მლნ კვტსთ) (დიაგრამა 7). 2023 წლის მარტთან შედარებით მოთხოვნა პირდაპირი მომხმარებლებისგან 1.4%-ით გაიზარდა, თელასი/თელმიკოსგან – 12.2%-ით, ენერგო-პრო ჯორჯიასგან – 5.7%-ით, ხოლო აფხაზეთისგან – 3.6%-ით. საერთო ჯამში, 2024 წლის მარტში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 5.8%-ით მეტი შეადგინა 2023 წლის მარტის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები – განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები – საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები – საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი აწარმოებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2024 წლის მარტში საქართველოში 105.5 მლნ კვტსთ-ის იმპორტი განხორციელდა (2023 წლის მარტში 145.9 მლნ კვტსთ-ის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). იმპორტის 98.5% შემოვიდა რუსეთიდან, 1.5% კი – აზერბაიჯანიდან (2023 წლის მარტში იმპორტის 99.4% რუსეთიდან შემოვიდა, 0.6% კი – თურქეთიდან). 2024 წლის მარტში საქართველოდან განხორციელდა 6.3 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი სომხეთში და 1.4 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი აზერბაიჯანში (2023 წლის მარტში ექსპორტი არ განხორციელებულა) (დიაგრამა 10). 2024 წლის მარტში 125.3 მლნ კვტსთ-ის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში (2023 წლის მარტში განხორციელდა 381.4 მლნ კვტსთ-ის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 63.4 მლნ კვტსთ-ის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში).


2024 წლის მარტში, 2023 წლის მარტთან შედარებით, იმპორტი 28%-ით შემცირდა, ხოლო ექსპორტი 8-ჯერ გაიზარდა.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


2024 წლის მარტში, 2024 წლის თებერვალთან შედარებით, იმპორტი 38.9%-ით შემცირდა (დიაგრამა 11). 2024 წლის მარტში ექსპორტი თვიურ ჭრილში 84.1%-ით გაიზარდა (დიაგრამა 12).

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

2. საბაზრო ოპერაციები

2024 წლის მარტში ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 67% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა, დარჩენილი 33% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2024 წლის მარტში საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 15.6 თეთრი კვტსთ-ზე, რაც 12.5%-იან წლიურ ზრდას შეესაბამება 2023 წლის მარტთან შედარებით (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო


2024 წლის მარტში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი 16.67 მლნ ლარი იყო, რაც 2023 წლის მარტის მონაცემზე 4.4%-ით მეტია (დიაგრამა 15).

დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



2024 წლის მარტში, იმპორტის ფასები 0.19 ცენტი, ან 0.50 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 56%-იან და ლარში 62%-იან ზრდას (2023 წლის მარტში ფასები 0.12 ცენტი ან 0.31 თეთრი იყო კვტს-ზე). 2024 წლის თებერვალში იმპორტის ფასები 0.27 ცენტი ან 0.70 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 29%-იან, ხოლო ლარში 29%-იან თვითურ კლებას. 2024 წლის მარტში ექსპორტის ფასები 5.76 ცენტი ან 15.46 თეთრი იყო (2023 წლის მარტში ექსპორტი არ ყოფილა) (დიაგრამა 16). 2024 წლის თებერვალში იმპორტის ფასები 6.50 ცენტი ან 17.26 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს აშშ დოლარში ფასის 11%-იან, ხოლო ლარში 10%-იან თვითურ კლებას.


დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები



წყარო: ესკო

2024 წლის მარტში რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 0.10 ცენტს ან 0.28 თეთრს შეადგენდა კვტსთზე, ხოლო აზერბაიჯანიდან – 5.76 ცენტს ან 15.44 თეთრს (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო/საქსტატი

2024 წლის მარტში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი აზერბაიჯანიდან 6.50 ცენტს ან 17.43 თეთრს შეადგენდა, ხოლო სომხეთიდან – 5.60 ცენტს ან 15.02 თეთრს (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი

3. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2024 წლის მარტში საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი კონცენტრირებული და მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვრებს შორის იყო და HHI ინდექსი 1,934 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2023 წლის მარტის მონაცემზე (HHI 1,241 ერთეული) და 2024 წლის თებერვლის მაჩვენებელზე (HHI 1,424 ერთეული) მაღალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2024 წლის მარტში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,212 ერთეულს გაუტოლდა (2023 წლის მარტის მაჩვენებელზე (2,184) მაღალი და 2024 წლის თებერვლის მაჩვენებელზე (2,224) დაბალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო